

# Karel FT10

სისტემური ტელეფონის

**გამოყენების**

**სახელმძღვანელო**



*მ ი ნ ი ტ ე ლ ს ი*

თბილისი 2006

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

გვ.

	შესავალი	<b>2</b>
<b>I.</b>	<b>სისტემური ტელეფონის ბაზა ელემენტები</b>	<b>3</b>
1.1	დისკლეი	<b>4</b>
1.2	დისკლეის დილაკები	<b>4</b>
1.3	ფუნქციონალური დილაკები	<b>5</b>
1.4	ხმის მართვის დილაკები	<b>5</b>
1.5	ნომრების კლავიატურა	<b>6</b>
1.3	სწრაფი აკრეფის დილაკები	<b>6</b>
<b>II.</b>	<b>სისტემური ტელეფონის ძველი ჩართვა</b>	<b>7</b>
2.1	ტელეფონის მიერთება სატელეფონო სადგურთან	<b>7</b>
2.2	სისტემური ტელეფონისათვის შიდა ნომრის მინიჭება	<b>7</b>
<b>III.</b>	<b>სისტემური ტელეფონის გაწყობა</b>	<b>8</b>
3.1	ტელეფონის გაწყობის (პროგრამირების) მენიუს სტრუქტურა	<b>8</b>
3.2	გამოძახების ოპციები	<b>9</b>
3.3	ტელეფონის გაწყობა	<b>11</b>
3.4	ტელეფონის დაცვა	<b>16</b>
3.5	შეტყობინების მენიუ	<b>17</b>
3.6	სისტემის გაწყობა	<b>18</b>
3.7	სატელეფონო წიგნი	<b>19</b>

**შესავალი**


ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია FT10 სისტემური ტელეფონის მქონე შიდა აბონენტისათვის, რომელიც ჩართულია Karel MS PABX შიდა სატელეფონო სისტემაში.

FT10 სისტემური ტელეფონი გამოიყენება MS38, MS48, MS128 და MS224 სისტემებისათვის და უერთდება მათ ხუთმავთულიანი ელექტრული ინტერფეისის საშუალებით.

სისტემური ტელეფონები საგრძნობლად აადვილებენ სისტემის გამოყენებას და მათ გააჩნიათ დამატებითი საექსპლუატაციო შესაძლებლობები. მათი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია კომპანიის ხელმძღვანელებისა და სისტემის ოპერატორებისათვის, რათა უზრუნველყონ გამოძახებების დიდი ტრაფიკის მომსახურება მოხერხებულად, მარტივად და შეუფერხებლად.

# 1. სისტემური ტელეფონის გარე ელემენტები

FT10 ტელეფონების გარე ელემენტები მოცემულია ნახატზე.



- 1 – ყურმილის შესაერთ. ბუდე
- 2 - არ გამოიყენება
- 3 – ხაზის შესაერთ. ბუდე
- 4 – კომპიუტერის შესაერთ. ბუდე
- 5 – DSS-ის შესაერთ. ბუდე
- 6 – საყურისის შესაერთ. ბუდე

## 1.1. დისკლეი




4x20 სიმბოლოიანი თხევადკრისტალური დისკლეი იძლევა შეტყობინებებს: საკუთრივ სისტემური ტელეფონის, ან მთელი სისტემის მდგომარეობის, გამოძახებების მართვის და კონტროლის, ქსელიდან მიღებული მონაცემების და ტელეფონის გაწყობის (დაპროგრამების) ოპციების შესახებ. ეს შეტყობინებები აისახება შემდეგნაირად:


- დრო/რიცხვი (I სტრიქონი)
- აბონენტის ნომრის იდენტიფიკაცია, სხვადასხვა გააქტიურებული ფუნქციები, უპასუხო ზარები და სხვა (II-III სტრიქონი)
- ფუნქციები რომლებიც უნდა შესრულდეს “დისკლეის ღილაკები”-ს გამოყენებით (IV სტრიქონი)

## 1.2. დისკლეის ღილაკები




ამ ღილაკების გამოყენებით შეიძლება შესრულდეს დისკლეიზე ნაჩვენები ფუნქციები.

 ეს ორი ღილაკი გამოიყენება მის ზემოთ, დისკლეიზე ნაჩვენები ოპციების ამორჩევისათვის (დადასტურება, აქტივიზაცია ან უარყოფა).

 ნავიგაციის ღილაკებით შესაძლებელია დისკლეიზე ნაჩვენებ იმ დამატებით ფუნქციებზე გადასვლა, რომლებზეც მიგვანიშნებს < > ნიშნები.


### 1. 3. ფუნქციონალური ღილაკები



ამ ღილაკების საშუალებით შესაძლებელია:

- Park:** მიმდინარე გამოძახებების პარკირება (შენახვა) ან აღდგენა;
- Phonebook:** სატელეფონო წიგნში შესვლა, რომელშიც შესაძლებელია 100 სატელეფონო ნომრის დამახსოვრება;
- Menu:** გაწყობის (დაპროგრამების) მენიუში შესვლა;
- Flash:** (“ჩაკერა”) - მიმდინარე გამოძახების დაყოვნება (“დაჭერა”-“Hold”) და მისი შემდგომი აღდგენა.
- Transfer:** დაყოვნებული გამოძახების გადაყვანა ხაზზე მყოფ აბონენტთან.
- Redial:** ბოლო აკრეფილი გარე ნომრის გამეორება.

### 1. 4. ხმის მართვის ღილაკები



“უხელოდ საუბრის” (HandFree) ღილაკი გამოიყენება

ყურმილის აულებლად საუბრისათვის. საუბრის მიმდინარეობისას მასზე ორჯერ დაჭერით ხმა შემოდის როგორც ყურმილში, ისე ხმამაღლამოლაპარაკეში.



ხმის დონის რეგულირების ღილაკები

გამოიყენებიან მხოლოდ “უხელოდ საუბრის” რეჟიმში.



“მუნჯის” (Mute) ღილაკი გამოიყენება საუბრის დროს


მიკროფონის გამოსართავად და ჩასართავად.

## 1. 5. ნომრების კლავიატურა

3x4 ნომრების კლავიატურა შეიცავს 10 ციფრის და # და \* ღილაკებს. ყველა ეს ღილაკი აგენერირებს ორტონალურ მრავალსისშირულ (ტონალურ) სიგნალებს. ნომრის ღილაკებით, გარდა ნომრების აკრეფისა, გაწყობის (დაპროგრამების) რეჟიმის “სატელეფონო წიგნის” მენიუში შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი სიმბოლოების შეყვანა:

- |                            |                 |
|----------------------------|-----------------|
| “1” → (ინტერვალი) 1 \$ % & | “6” → M N O 6 ) |
| “2” → A B C 2 #            | “7” → P Q R S 7 |
| “3” → D E F 3 :            | “8” → T U V 8 + |
| “4” → G H I 4 -            | “9” → W X Y Z 9 |
| “5” → J K L 5 (            | “0” → 0 → ! ? = |

## 1. 6. სწრაფი აკრეფის ღილაკები



სწრაფი აკრეფის 16 ღილაკი შეიძლება გამოყენებული იქნას “პირველადი” ან “მეორადი” დანიშნულებით.

ღილაკზე მოკლე ხნით (ერთი დაპიპინება) დაჭერისას ამოქმედდება მასზე წინასწარ დამახსოვრებული პირველადი ფუნქცია, ხოლო ღილაკზე შედარებით ხანგრძლივად (ორი დაპიპინება) დაჭერისას ამოქმედდება მასზე წინასწარ დამახსოვრებული მეორადი ფუნქცია.


სწრაფი აკრეფის ღილაკებზე შეიძლება დამახსოვრებული იყოს შემდეგი:

- შიდა აბონენტის ნომერი;
- ხაზის ნომერი;
- პირადი და საერთო ფონდის რეგისტრი, გარე აბონენტის ნომრის ან სერვისული ფუნქციის დასამახსოვრებლად;
- ძირითადი სერვისული ფუნქციები (“მომყვები მე”, “უკუგამოძახება”, “არ შემაწუხო”, “კონფერენცია” და სხვა);
- სხვადასხვა სერვისული ფუნქციების კოდები (“ხაზის ხაზთან შეერთება”, “ხაზის გაწყვეტა” და სხვა).

## II. სისტემური ტელეფონის ქსელში ჩართვა

### 2.1. ტელეფონის მიერთება სატელეფონო საღებურთან

FT10 სისტემური ტელეფონი შეიძლება ჩაერთოს MS სატელეფონო საღებურის მხოლოდ პირველ 16 ნომერზე. ერთ MS სისტემაში შეიძლება მხოლოდ 10 სისტემური ტელეფონის ჩართვა.



FT10 სისტემური ტელეფონის და სატელეფონო საღებურის შეერთება ხორციელდება ხუთმაგთულიანი ელექტრული ინტერფეისის საშუალებით. ამისათვის გამოიყენება სტანდარტული შემაერთებელი სატელეფონო კოლოფი, რომლის ჩართვის სქემა მოცემულია ნახაზზე

სატელეფონო კოლოფს მიეწოდება შემდეგი სიგნალები:

- 1 – +12 ვოლტი;
- 2 – არ გამოიყენება;
- 3 – B პოლუსი ორმაგთულიანი სააბონენტო ხაზის;
- 4 – A პოლუსი ორმაგთულიანი სააბონენტო ხაზის;
- 5 – საერთო (“მიწა” - GND);
- 6 – მონაცემების სიგნალი (DATA).

1-ლი, მე-5 და მე-6 სიგნალი საერთოა სისტემაში ჩართული ყველა სისტემური ტელეფონებისა და სხვა კონსოლებისათვის. შესაბამისად, შემაერთებელი სატელეფონო კოლოფების ეს მომჭერები დაპარალელურულია.


### 2.2. სისტემური ტელეფონისათვის შიდა ნომრის მინიჭება

FT10 სისტემური ტელეფონის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მას მივანიჭოთ შესაბამისი შიდა სააბონენტო ნომერი. ნომრის მინიჭება ხდება შემდეგნაირად:

1. დააჭირე Park ღილაკს მანამ, სანამ დისპლეიზე გამოჩნდება წარწერა “Terminal no = aa”, სადაც “aa” რომელიმე აბონენტის ფიზიკური ნომრის ბოლო ორი ციფრია;
2. დააჭირე Park ღილაკზე იმდენჯერ, სანამ დისპლეიზე არ დაიწერება საკუთარი სააბონენტო ნომრის ბოლო ორი “aa” ციფრი;
3. ამ ციფრის გამოჩენის შემდეგ აიღე და დადე ყურმილი.

### III. სისტემური ტელეფონის გაწყობა


#### 3.1. ტელეფონის გაწყობის (პროგრამირების) მენიუს სტრუქტურა



გაწყობის რეჟიმში შესვლა ხორციელდება MENU-ს ღილაკზე დაჭერით.



### 3.2. გამომძახების ოპციები



**გამოძახების ბაღაყვანა** – ოპციის ამოქმედების შემდეგ, წინასწარ განსაზღვრულ შიდა აბონენტზე ხდება: ან ყველა გამოძახების, ან სამ ზარზე არნაპასუხები გამოძახებების გადაყვანა.

**ავტო აპრეზა** – თუ ეს ფუნქცია ამოქმედებულია, მაშინ სისტემა ყოველ 15 წამში ავტომატურად რეკავს შესაბამის გარე აბონენტთან. ამ დროს სისტემა კრეფს იმ გარე აბონენტის ნომერს, რომელთანაც ვერ მოხერხდა დაკავშირება (ბოლო ნომერი), ან არჩეული პირადი/საერთო ფონდის რეგისტრში დამახსოვრებულ ნომერს. გამოძახებული აბონენტის პასუხის შემდეგ ტელეფონი იწყებს რეკვას.


ფუნქციის გაუქმება ხდება დისპლეის ღილაკიდან “Cancel” (წაშლა) ოპციის გამოყენებით.

**დაძახება** – ფუნქცია მოქმედებს, თუ დასაძახებელ აბონენტებს გააჩნიათ სისტემური ტელეფონები. ფუნქციის ამოქმედების შემდეგ დასაძახებელი აბონენტების სისტემური ტელეფონების ხმამაღლამოლაპარაკეები და მიკროფონები ჩაერთვებიან ავტომატურად და შესაძლებელი ხდება სელექტორული კავშირის განხორციელება.

**უპასუხო ზარები**– ოპციის არჩევით, სრული ინფორმაცია, შემოსული და არნაპასუხები გამოძახებების შესახებ აისახება ტელეფონის დისპლეიზე. თუ არნაპასუხებია ერთზე მეტი გამოძახება, მათი დათვალიერება შესაძლებელია ნავიგაციის ღილაკების გამოყენებით.

უპასუხო ზარების დათვალიერება, თუ ისინი არსებობს, შესაძლებელია აგრეთვე დისპლეის მარჯვენა ღილაკის საშუალებით “Detail” ოპციაში შესვლით და ნავიგაციის ღილაკების გამოყენებით. ასეთი დათვალიერების შემდეგ ხდება უპასუხო ზარების წაშლა.

### 3.3. ტელეფონის გაწყობა



**არ შამაწუხო** – თუ ეს ფუნქცია ამოქმედებულია, მაშინ, შემომავალი გამოძახებისას ტელეფონის ზარი რეკავს ერთხელ, ყოველი 20 წამის განმავლობაში.

**შამხსენაპალი** – ფუნქციის ამოქმედება ხორციელდება სასურველი დროის შეყვანით HHMM (სთ,სთ,წთ,წთ) ფორმატში. ზუსტად ამ დროს ტელეფონი იწყებს რეკვას სპეციალური ქლერადობით. ყურმილის ალების შემდეგ გაისმება შეტყობინება მხოლოდ მაშინ, თუ ფუნქცია ამოქმედებულია “შეტყობინებით” და ეს შეტყობინება ჩაწერილია წინასწარ.

**პროფის ვერსია** – ოპციაში მოცემულია როგორც MS სისტემის, ისე საკუთრივ სისტემური ტელეფონის ვერსიები.


**ზარმაცის რეჟიმი** – თუ ეს ფუნქცია ამოქმედებულია, მაშინ, შემომავალი გამოძახებისას ტელეფონი ავტომატურად გადადის უხელოდ საუბრის რეჟიმში საპასუხოდ და გამოძახებაზე პასუხი შესაძლებელია ყურმილის აუღებლადაც.

**ენა** – ამ ოპციაში შესაძლებელია, ტელეფონის დისპლეიზე ასახული შეტყობინებებისათვის სხვადასხვა ენის არჩევა.

**საჭურისი** – ეს რეჟიმი გამოიყენება საყურისის კომპლექტის გამოყენებისას, თუ ის მიერთებულია სისტემურ ტელეფონთან. აქ არის 3 ოპცია:

- **გამორთვა**, რომლის არჩევის შემდეგ გამორთვება მომდევნო ოპციები;
- **უხელოდ საუბრის ღილაკით**, რომლის არჩევის შემდეგ ტელეფონი გადადის საყურისზე, ამ ღილაკზე პირველი დაჭერისას და გადმოდის უხელოდ საუბრის რეჟიმში, ამ ღილაკზე მეორედ დაჭერისას;
- **უხელოდ საუბრის ღილაკის გარეშე**, რომლის არჩევის შემდეგ ტელეფონი გადასულია საყურისზე ამ ღილაკზე დაჭერის გარეშეც, ხოლო ყურმილის ალების შემდეგ ხმა ისმის საყურისშიც და ყურმილშიც.

**ღილაკების ბაწყობა** – ოპციის არჩევით შესაძლებელია, სწრაფი აკრეფის 16 ღილაკზე: შიდა აბონენტის ნომრის, ხაზის ნომრის, გარე აბონენტის ნომრის ან სხვადასხვა სერვისული ფუნქციების დამახსოვრება, როგორც “პირველადი”, ისე “მეორადი” დანიშნულებით (იხ. თავი1.6). ღილაკების გაწყობის ოპციის სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ.



**შენიშვნა:** სასურველ ღილაკზე მოკლე ხნით დაჭერისას, მასზე პირველადი ფუნქცია ჩაიწერება პირველ რეგისტრში, ხოლო, შედარებით ხანგრძლივად დაჭერისას – მეორე ფუნქცია მეორე რეგისტრში.


**აბონენტი** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია შიდა აბონენტის ნომერი ჩავწერთ (დავიმახსოვროთ) სასურველ დილაკზე პირველად ან მეორად რეგისტრში. ხოლო შემდგომ, ამ დილაკზე მოკლე ან ხანგრძლივი ხნით დაჭერით მოხდება პირველ ან მეორე რეგისტრში ჩაწერილი ნომრის ავტომატურად აკრეფა და შესაბამისი აბონენტის გამოძახება.

აბონენტის ნომრის დილაკზე ჩასაწერად საჭიროა ამ ოპციის არჩევის შემდეგ დავაჭიროთ (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) იმ დილაკს, რომელზეც გვსურს აბონენტის ნომრის დამახსოვრება, შემდეგ კი – აკრიფოდ ამ აბონენტის შიდა ნომერი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნედ, მოკლე ან ხანგრძლივი ხნით დაჭერისას აბონენტის ნომერი ჩაიწერება შესაბამისად, პირველ ან მეორე რეგისტრში.

**ხაზი** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია გარეთა შემაერთებელი ხაზის რიგითი ნომერი ჩავწერთ (დავიმახსოვროთ) სასურველ დილაკზე პირველად ან მეორად რეგისტრში. ხოლო შემდგომ, ამ დილაკზე მოკლე ან ხანგრძლივი ხნით დაჭერით მოხდება უშუალოდ ამ ხაზის დაკავება, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელია გარე აბონენტის ნომრის აკრეფა.

შემაერთებელი ხაზის ნომრის დილაკზე ჩასაწერად საჭიროა ამ ოპციის არჩევის შემდეგ დავაჭიროთ (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) იმ დილაკს, რომელზეც გვსურს ხაზის რიგითი ნომრის დამახსოვრება, შემდეგ კი – აკრიფოდ ამ ხაზის ნომერი. (01, 02, 03 . . . ).

**პირადი ფონდი** – ოპციის საშუალებით, სწრაფი აკრეფის დილაკებზე შესაძლებელია 20-მდე პირადი ფონდის რეგისტრის და შესაბამისად, მასში ჩაწერილი გარე აბონენტის ნომრის ან სერვისული ფუნქციის დასამახსოვრება. შემდგომ, რომელიმე ასეთ დილაკზე დაჭერით (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) ავტომატურად განხორციელდება შესაბამისი გარე აბონენტის გამოძახება, ან შესაბამისი სერვისული ფუნქციის შესრულება.

პირადი ფონდის რეგისტრის დილაკზე ჩასაწერად, ამ ოპციის არჩევის შემდეგ, უნდა დავაჭიროთ (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) იმ დილაკს, რომელზეც გვსურს მისი ჩაწერა და აკრიფოდ რეგისტრის ნომერი (01, 02, . . . . 20). ამის შემდეგ, აკრიფოდ ან სასურველი გარე აბონენტის ნომერი, ან  და სასურველი ფუნქციის კოდი.

**საერთო ფონდი** – ოპციის საშუალებით, სწრაფი აკრეფის დილაკებზე შესაძლებელია საერთო ფონდის რეგისტრის და შესაბამისად, მასში ჩაწერილი გარე აბონენტის ნომრის დასამახსოვრება. შემდგომ, ამ დილაკზე დაჭერით (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) ავტომატურად განხორციელდება შესაბამისი გარე აბონენტის გამოძახება.

საერთო ფონდის რეგისტრის დილაკზე ჩასაწერად, ამ ოპციის არჩევის შემდეგ, უნდა დავაჭიროთ (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) იმ დილაკს, რომელზეც გვსურს მისი ჩაწერა და ავკრიფოდ რეგისტრის ნომერი (00, 02, . . . . 99). საერთო ფონდის რეგისტრში ნომრების ჩასაწერად ის. “აბონენტის სახელმძღვანელო”.


**ფუნქცია** – ოპციის საშუალებით, სწრაფი აკრეფის დილაკებზე შესაძლებელია იმ სერვისული ფუნქციების ჩაწერა, რომლებიც ნაჩვენებია ზედა დიაგრამაზე. შემდგომ, რომელიმე ასეთ დილაკზე დაჭერით (მოკლე ხნით ან ხანგრძლივად) ავტომატურად განხორციელდება შესაბამისი ფუნქციის შესრულება. ასე მაგალითად:

- თუ, კონკრეტულ დილაკზე ჩავწერთ “მომყევი მე” ფუნქციას, მაშინ ამ ფუნქციის ამოქმედება ხდება ამ დილაკზე დაჭერით და სასურველი აბონენტის ნომრის აკრეფით. ამ დროს, დილაკის გვერდზე აინთება შესაბამისი შუქლიოდი. ფუნქციის წაშლა მოხდება იმავე დილაკზე დაჭერის შემდეგ.
- თუ, კონკრეტულ დილაკზე ჩავწერთ “კონფერენციის” ფუნქციას, მაშინ აბონენტთან მიმდინარე გამოძახების დროს, ამ დილაკზე დაჭერის შემდეგ უნდა ავკრიფოდ სხვა აბონენტის ნომერი, ხოლო პასუხისა და ისევ ამ დილაკზე დაჭერით ამოქმედდება კონფერენციის რეჟიმი.

**ავტო დაქვანება** – შეიცავს 4 ოპციას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სწრაფი აკრეფის დილაკების ავტომატურად დაპროგრამება. გარდა ამისა, ის შეიცავს წაშლის ოპციას, რომლის ამორჩევის შემდეგ ხდება სწრაფი აკრეფის დილაკების განულება. დილაკების ავტომატური პროგრამირება ხდება შემდეგნაირად:

- ოპცია 1 – შიდა აბონენტის ნომრები;
- ოპცია 2 – ხაზის ნომრები;
- ოპცია 3 – საერთო ფონდის რეგისტრები;
- ოპცია 4 – პირადი ფონდის რეგისტრები.

### 3.4. ტელეფონის დაცვა






**პაროლი** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია საკუთარი პაროლის განსაზღვრა, მისი შეცვლა ან წაშლა. პაროლი უნდა შეიცავდეს 3 ციფრს 000-დან 250-მდე.

**ტელეფონის ჩაკეტვა** – ოპცია გომონდება მაშინ, თუ წინასწარ განსაზღვრულია პაროლი და ტელეფონი არ არის ჩაკეტილი. ასეთ შემთხვევაში პაროლის აკრეფის შემდეგ მოხდება ტელეფონის ჩაკეტვა გარე გამოძახებებისათვის.

**ტელეფონის გახსნა** – ოპცია გომონდება მაშინ, თუ ტელეფონი ჩაკეტილია. ასეთ შემთხვევაში პაროლის აკრეფის შემდეგ მოხდება ტელეფონის გახსნა.


### 3.5. შეტყობინების მენიუ



**არყოფნის შეტყობინება** – ოპციაში შესვლისა და შეტყობინების ჩაწერის (წაკითხვის) შემდეგ შესაძლებელია შეტყობინების დატოვება მათთვის ვინც დარეკავს ამ ტელეფონზე თქვენი არყოფნის შემთხვევაში. შეტყობინების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წამს.

**შეტყობინების მოსმენა** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია ტელეფონზე დატოვებული შეტყობინებების მოსმენა. შეტყობინებების მოსასმენად აუცილებელია პაროლის აკრეფა, თუ ის წინასწარ იყო დაყენებული.

### 3.6. სისტემის ბაწყობა



**დროის დაყენება** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია დროის დაყენება HH:MM (სთ:წთ) ფორმატში.

**თარიღის დაყენება** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია თარიღის დაყენება DD/MM/YY (დღე/თვე/წელი) ფორმატში.


**ღამის რეჟიმი** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია ღამის რეჟიმის მაშინვე ამოქმედება ან გაუქმება, თუ ის უკვე იყო ამოქმედებული.

**საერთო ფონდი** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია, საერთო ფონდის რეგისტრებში გარე აბონენტების ნომრების ჩაწერა.

**პარალელური ოპერატორი** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია პარალელური ოპერატორის რეჟიმის მაშინვე ამოქმედება ან გაუქმება, თუ ის უკვე იყო ამოქმედებული.

**ბამოკახეპების ავტომატური ბანაწილება** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია აბონენტთან პირდაპირი შეღწევის (აჰშ - **DISA**-Direct Inword Subscriber Access) რეჟიმის მაშინვე ამოქმედება ან გაუქმება, თუ ის უკვე იყო ამოქმედებული.

### 3.7. ტელეფონის წიგნი



**ტელეფონის წიბნი** – ქვემენიუში შესაძლებელია 50-მდე სახელის და ამ სახელის შესაბამისი ნომრის დამახსოვრება (ჩაწერა).

**პოვნა** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია უკვე ჩაწერილი მონაცემების პოვნა წინასწარ სახელის ან ნომრის მითითებით.

**დამატება** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია ახალი სახელის და მისი შესაბამისი ნომრის ჩაწერა და დამახსოვრება.

**შეცვლა** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია უკვე ჩაწერილი მონაცემების პოვნა წინასწარ სახელის ან ნომრის მითითებით და მისი შეცვლა. აქვე შესაძლებელია “CONSTANT MESSAGE” შეტყობინების შეცვლა, რომელიც შეუსრულებლად (by default) არის “Karel Electronics”.

**წაშლა** – ოპციის საშუალებით შესაძლებელია უკვე ჩაწერილი მონაცემების წაშლა.